ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ს ა რ ჩ ე ვ ი

- *შესავალი -- 3 გვ*
- *ადმინისტრაციული სამსახური -- 4 გვ*
- *საფინანსო საბიუჯეტო სამსახური -- 7 გვ*
- *ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური -- 8 გვ*
- *ზედამხედველობის სამსახური -- 10 გვ*
- *ეკონომიკური განვითარების სამსახური -- 15 გვ*
- *განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური -- 18 გვ*
- *ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური -- 26 გვ*
- *იურიდიული სამსახური -- 30 გვ*
- *აუდიტის სამსახური -- 32 გვ*

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მოგესალმებით,

წარმოგიდგენთ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშს 2024 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის თითოეული მკვიდრის ცხოვრების დონის გაუმჯობესება და კეთილდღეობა ჩემი და ჩვენი გუნდის უმთავრესი ამოცანაა. სახელმწიფო და ადგილობრივი პრიორიტეტების თანხვედრამ არაერთი სასიკეთო შედეგი მოგვიტანა. გასულ წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, პრიორიტეტული მიმართულებები ითვალისწინებდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებას, განათლების, კულტურის და სპორტის სფეროების, ტურიზმის განვითარებას. მიუხედავად უამრავი შესრულებული სასიკეთო საქმისა, ლენტეხის მუნიციპალიტეტში კვლავ ბევრი პრობლემა, გამოწვევა და საჭიროებაა. საბიუჯეტო რესურსების ოპტიმალური ხარჯვით, შევძელით პასუხი გაგვეცა ძირითადი გამოწვევებისთვის, რაც მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია, ყოველივე ეს, თითოეული სამსახურის ეფექტური და კოორდინირებული მუშაობის შედეგია.

შევეცადე შესაძლებლობის ფარგლებში მოკლედ წარმომედგინა 2024 წელს განხორციელებული საქმიანობა. მჯერა, რომ ერთმანეთის გვერდში დგომით და მონდომებით ბევრი პროექტი და პროგრამა განხორციელდება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებას და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2024 წელს შესრულებული სამუშაოების შესახებ წარმოადგენს საჯარო დოკუმენტს და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

საუკეთესო სურვილებით
გია ონიანი

14,03,2025წ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ინფორმაციას ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების მიერ 2024 წელს განხორციელებული პროექტებისა და სამუშაობის შესახებ.

ადმინისტრაციული სამსახური

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური არის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მერიის სამსახურების საქმისწარმოებას, მათ კომუნიკაციას ერთმანეთთან; ადამიანური რესურსების მართვის უზრუნველყოფას; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთობის ორგანიზებას მოქალაქეებთან, იურიდიულ პირებთან და სხვა გაერთიანებებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, სხვა თვითმმართველ ერთეულებთან; მერიის ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას.

ადმინისტრაციული სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ადმინისტრაციული სამსახურის დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

სამსახურის სტრუქტურა

სამსახური შედგება სამსახურის უფროსის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ხელმძღვანელის მოადგილისა და მეორადი სტრუქტურული ერთეულებისაგან განყოფილებებისაგან და მოხელეებისაგან .

სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულებია:

- საქმისწარმოების განყოფილება;
- ადამიანური რესურსების მართვისა და საორგანიზაციო საკითხების განყოფილება;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება;
- მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის და კოორდინაციის განყოფილება;

საქმისწარმოების განყოფილება

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიაში საანგარიშო პერიოდში შემოსულია სულ

- 13619 წერილი
- 1010 წერილი - სახელმწიფო სტრუქტურებიდან, სამინისტროებიდან, სამთავრობო უწყებებიდან...
- 5400 წერილი - სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, იურიდიული პირებისგან (შპს, ინდ/მეწარმე) და მოქალაქეებისგან ...
- 4659 წერილი - შიდა დოკუმენტაცია მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების, განყოფილების უფროსების, სახვადასხვა საჯარო მოხეელების მოხსენებითი ბარათები, განცხადებები, სამსახურებრივი ბარათები...

აღნიშნული წერილები დამუშავდა, გატარდა რეგისტრაციაში და მომზადდა რეზოლუციისთვის. შემოსული წერილების უმეტესობა პასუხგაცემულია და გადაგზავნილია ადრესატებისთვის. სულ საანგარიშო პერიოდში ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოების განყოფილების მიერ გადაგზავნილია 2550 წერილი (სამინისტროებში და უწყებებში -870, იურიდიული პირები -695, მოქალაქეები -949, მატერიალური ფოსტით -36).

ადმინისტრაციული სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში მომზადდა სულ 1093 ბრძანების პროექტი აქედან 601 თანხის გადარიცხვის შესახებ, 104 სხვადსხვა სახის ბრძანების პროექტები, 388 საკადრო შინაარსის ბრძანების პროექტები. მომზადდა 250 საპასუხო წერილი, სხვადასხვა შინაარსის შესაბამის უწყებებში გადასაგზავნად.

საკრებულოში გადაიგზავნა 30 განკარგულების პროექტი სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე, ბიუჯეტში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხის გადანაწილებაზე, 2024 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, 2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე. მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ 2024 წელს გაწეული მუშაოების შესახებ ანგარიშები, და სხვა...

საკრებულოში გადაიგზავნა 4 დადგენილების პროექტი (ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ; ასევე მერიის თანამდებობის პირების სარგოების ცვლილებებთან დაკავშირებით და ა(ა)იპ-ების გეგმა პროგრამების დამტკიცების თაობაზე პროექტები.

ადმინისტრაციული სამსახურის უშუალო კოორდინაციით ხორციელდება ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიაში დანერგილი საქმისწარმოების ახალი ერთიანი ელექტრონული სისტემის (MSDA) ფუნქციონირება, რომლის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის გაზრდა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს თვითმმართველობების გაძლიერებას, საქმის წარმოების გამჭვირვალე პროცესებს, ელექტრონულ სერვისებზე მოქალაქეთა ონლაინ წვდომის შესაძლებლობასა და შემცირებულ ბიუროკრატიას.

ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ახალი სისტემის (MSDA) დანერგვის შემდეგ უფრო ადვილი გახდა დოკუმენტ მოძრაობის კონტროლი, მიღებული დოკუმენტებისა და განცხადებების ოპერატიულად დამუშავება/განხილვა.

ადამიანური რესურსების მართვისა და საორგანიზაციო საკითხების განყოფილება

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უზრუნველყოფს ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ ელექტრონული პროგრამის - „ელექტრონული მმართველობის ერთიანი სისტემა - MSDA" ადამიანური რესურსების მართვის მოდულის მართვას და ადმინისტრირებას.

საანგარიშო პერიოდში ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ აღნიშნულ პროგრამაში მომზადდა 388 სამართლებრივი აქტი (შვებულებები, მივლინებები, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დანიშვნის ბრძანებები, შრომითი ხელშეკრულებებით

დანიშნული შტატგარეშე მოსამსახურეების დანიშვნის ბრძანებები). განყოფილების ჩართულობით მომზადდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით დამტკიცებული, მერიის პროფესიული საჯარო მოხელეების შუალედური და საბოლოო შეფასებები.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიაში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად 2024 წელს გამოცხადდება შიდა კონკურსი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით 5 საშტატო ერთეულზე.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უზრუნველყოფდა ადამიანური რესურსების მართვის (eHRMS) ერთიან ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებას და მასში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მერიის საჯარო მოხელეების შესახებ ინფორმაციის ასახვას.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფდა სხვადასხვა სახის საკადრო დოკუმენტების მომზადებას, მათ გაფორმებას, აღრიცხვას, პირადი საქმეების შედგენას და წარმოებას, პერიოდულად მათ სრულყოფას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომლების მიერ სისტემატიურად ხდებოდა ლენტეხის მუნიციპალიტეტში განვითარებული მოვლენების, სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლების, ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი პირების, ოფიციალური შეხვედრების, თათბირების, კონფერენციების, ფესტივალების, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო ღონისძიებების, ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციების განთავსება სოციალურ ქსელში, ფეისბუქის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ გვერდზე.

მუნიციპალიტეტში განვითარებული მთავარი მოვლენების, მასშტაბური პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმაციები, შესაბამისი მასალები, ვიდეო კადრები მიეწოდებოდა ცენტრალურ და რეგიონულ ტელევიზიებს. პერიოდულად შუქდებოდა ასევე ის ღონისძიებები რომლებსაც ადგილობრივი თვითმმართველობა ახორციელებდა;

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომლები უზრუნველყოფდნენ მერიის სამართლებრივი აქტებისა და მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას მოქალაქეებისათვის. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის საჯაროობის მიზნით, ასევე ეტაპობრივად ახორციელებდნენ მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის ადმინისტრირებას Lentekhi.gov.ge (სამართლებრივი აქტების, ოქმების, ყოველდღიური საჯარო ინფორმაციის ატვირთვა) .

მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილება

საანგარიშო პერიოდში ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის წარმომამდგენლებთან ურთიერთობის განყოფილებაში შემოსულია 482 წერილი, აქედან პასუხი გაცემულია 462 წერილზე, 20 წერილი იყო ინფორმაციული ხასიათის. სულ წარმომადგენლების მიერ გაცემულია 433 ცნობა (სხვადასხვა შინაარსის), 203 მოხსენებითი ბარათი, 13 ოქმი და 145 მომართვა.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მიერ, ყოველდღიურ რეჟიმში, მიმდინარეობდა სხვადასხვა სტატისტიკური ინფორმაციის მოწოდება, ასევე მოსახლეობის პრობლემების, სოციალურად გაჭირვებული მოქალაქეების, ეკომიგრანტებისა და დევნილების რაოდენობისა და მათი საყოფაცხოვრებო მდგომარეობის შესახებ, დაგეგმილი და განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია.

საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით მერის წარმომადგენლები საანგარიშო პერიოდში ახორციელებდნენ დაბადების რეგისტრაციის თაობაზე (თუ ბავშვი დაიბადა სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემის უფლებამოსილების მქონე პირის დახმარების გარეშე) შეტყობინების მიწოდებას, პირის გარდაცვალების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის შედგენასა და გადაცემას, პირის გარდაცვალების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში გაგზავნას;

დაინტერესებული მოქალაქის განცხადების საფუძველზე წარმომადგენლები ადასტურებენ სამოქმედო ტერიტორიაზე პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს.

საანგარიშო პერიოდში ხდებოდა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ცნობების გაცემა მაღალმთიან რეგიონში მუდმივად ცხოვრების დადასტურების შესახებ.

წარმომადგენლები ხელს უწყობდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურს სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის ღონისძიებების გატარებაში;

განყოფილება საანგარიშო პერიოდში მერის წარმომადგენლებთან ერთად უზრუნველყოფდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კავშირსა და კომუნიკაციას საკრებულოსთან, მერიასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებთან, უზრუნველყოფდა მოსახლეობის ინფორმირებულობას ადმინისტრაციულ ერთეულებში განსახორციელებელი მუნიციპალური პროგრამების და პროექტების შესახებ;

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

2024 წლის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსულოობების გეგმა შეადგენდა 22,729,336 ლარს. მათ შორის საკუთარი შემოსავლები დაგეგმილი იყო 8,959,638 ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხები დაგეგმილი იყო 13,770,198 ლარით. 2024 წლის შემოსულობების ფაქტმა შეადგინა 22,529,336 ლარი, მათ შორის საკუთარი შემოსავლების ფაქტმა შეადგინა 8,759,138 ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა თანხებმა შეადგინა 13,770,198 ლარი. დ.ღ.გ გეგმა შედგენდა 6,759,00 ლარს, ფაქტმა შეადგინა 6,914,898 ლარი, ქონების გადასახადი გეგმა შეადგენდა 75,00 ლარს, ფაქტმა შეადგინა 74,206 ლარი. სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 665,000 ლარით ფაქტმა შეადგინა 450,354 ლარი. 2024 წლის 1-იანვრისათვის არსებული ნაშთი შეადგენდა 3,740,925 ლარს აქედან 2,421,225 ლარი შეადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერების ნაშთს.

2024 წლის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის გამოყოფილი თანხის რაოდენობამ შეადგინა 13,106,900 ლარი (ნაშთის დამატებით).

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები შევიდა 5-ჯერ რაც ძირითადად განპირობებული იყო საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვით.

აგრეთვე ბიუჯეტში დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილებაში შემოსული 278 დოკუმენტი რომლებზეც დროულად მოხდა რეაგირება.

საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილებაში 2024 წელს შემოვიდა 1987 დოკუმენტი, ყველა დოკუმენტზე მოხდა დროული რეაგირება, განყოფილების მიერ დროულად ხდებოდა მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე ხელფასების გაცემა და კანონის ფარგლებში განსახორციელებელი ყველა სახის ფინანსური ოპერაცია.

მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებაში 2024 წელს შემოვიდა 221 დოკუმენტი, ყველა დოკუმენტზე მოხდა დროული რეაგირება მათი კომპეტენციის ფარგლებში.

შესყიდვების განყოფილებაში 2024 წელს შემოვიდა 892 დოკუმენტი, ყველა დოკუმენტზე მოხდა დროული რეაგირება. 2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტის შესყიდვების გეგმა შეადგენდა 11,912,890 ლარს, ფაქტმა შეადგინა 11,173,774 ლარი მათ შორის ელექტრონული ტენდერების საშუალებით შესასყიდი სამუშაოების გეგმა შეადგენდა 9,912,890 ლარს, ფაქტმა შეადგინა 9,247,929 ლარი. ხელშეკრულება გაფორმდა 72 მომწოდებელთან (34 ხელშეკრულება საპროექტო)

გამარტივებული შესყიდვის გზით შესასყიდი საქონელის გეგმა შეადგენდა 756,109 ლარს ფაქტმა შეადგინა 723,591 ლარი. ხელშეკრულება გაფორმდა 136 მიმწოდებელთან. კონსოლიდირებული ტენდერების გეგმა შეადგენდა 640,039 ლარს, ფაქტმა შეადგინა 598,55 ლარი.. ხელშეკრულება გაფორმდა 18 მიმწოდებელთან.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი პროექტების გეგმა შეადგენდა 604,00 ლარს ფაქტი 603,699 ლარს. გაფორმდა 60 ხელშეკრულება.

ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახური შედგება სამსახურის უფროსის, სამსახურის უფროსის მოადგილის, ორი განყოფილების, ორი მთ.სპეციალისტის და ორი შტატგარეშე სპეციალისტისაგან.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 14 აგვისტოს N-1146 განკარგულების შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოიყო 5042782 (ხუთი მილიონ ორმოცდაორი ათას შვიდას ოთხმოცდაორი) ლარი.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 4 ივნისის N-779 განკარგულების შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოიყო 790000 (შვიდას ოთხმოცდაათი ათასი) ლარი.

საქართველოს მთავრობის 2024წ. 2 მაისის N-648 განკარგულებით ლენტეხის მუნიციპალიტეტს სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოეყოს 2160000 (ორი მილიონ ას სამოციათასი) ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 აგვისტოს N-1456 განკარგულებით 2020-2022წწ. საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ლენტეხის მუნიციპალიტეტს გამოეყო 750000 ლარი, დაბა ლენტეხში სპორტული დარბაზის რეაბილიტაციისთვის. სამუშაოებს ასრულებს შ.პ.ს „აბსოლუტპლუსი“ სამუშაოები მიმდინარეობს ინტენსიურ რეჟიმში.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N-2401 განკარგულებით ლენტეხის მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოეყოს 604000 (ექვსას ოთხიათასი) ლარი. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოწონებული ნუსხის შესაბამისად სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელ სამუშაოებზე სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაცია შეადგინა ლენტეხის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურმა. რითაც მუნიციპალიტეტისთვის დაიზოგა 12000 (თორმეტი ათასი) ლარი.

ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ მიმდინარე წლის განმავლობაში გაიცა ნებართვა, შ.პ.ს „ლასდილჰესზე“ სოფ. ცანაში მცირე ზომის ჰესის მოწყობაზე, რომლის სიმძლავრე არის 0,5მგვტ.

სოფ.ხოფურში მდებარე მიწის ნაკვეთზე ს/კ 87,02,23,190 1,4 მგვტ სიმძლავრის ხოფური -3 ჰესის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცდა და მიმდინარეობს მეორე ეტაპის დოკუმენტაციის მომზადება. ს/ს ენერგო-პროჯორჯიაზე გაიცა ნებართვა 3 კლასის 35 კვ/ძაბვის ჩოლურის ელექტრო გადამცემი ხაზის აღდგენასთან დაკავშირებით. ასევე მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან გაიცა თანხმობა 3 (სამი) საცხოვრებელ კოტეჯზე და ნებართვა 1 (ერთ) სასტუმროზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის განკარგულებით N-გ-97.97233551 მოწონებულ იქნა 2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხა, ობიექტების საპროექტო სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა დასრულებულია, ჯამში 2024 წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ მოხდა 70 საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (დეფექტური აქტი) . აქედან დაჯარიმდა 7 მეწარმე და ჯარიმის თანხამ შეადგინა 3603 (სამი ათას ექვსას სამი) ლარი.

საანგარიშო პერიოდში ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურში შესასწავლად და სხვადასხვა უწყებებში შუამდგომლობისათვის შემოვიდა როგორც მოსახლეობიდან ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებიდან 960 წერილი და განცხადება, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ყველა შემოსულ კორესპოდენციაზე გაიცა პასუხი.

ზედამხედველობის სამსახური

2024 წლის განმავლობაში მერიის ზედამხედველობის სამსახურს შესასწავლად და საპასუხოდ დაგვეწერა 4456 წერილი და განცხადება, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შესწავლილი და პასუხგაცემული იქნა აღნიშნული კორესპოდენცია.

წლის განმავლობაში განყოფილებაში შემოვიდა ლენტეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 7 მოქალაქის განცხადება, რომლებიც ითხოვდნენ მათ საკუთრებაში არსებული, ახლად აშენებული საცხოვრებელი სახლების და კომერციული ფართების ექსპლუატაციაში მიღების ნებართვას. ოთხი განცხადება დაკმაყოფილდა. ერთ პიროვნებას მის საკუთრებაში არსებული კომერციული ფართის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით, ეთქვა უარი, დამტკიცებულ პროექტთან შეუსაბამობის გამო და მიეცა მითითება ხარვეზის გამოსასწორებლად. განვიხილეთ სადაო საქმეები მოქალაქეთაგან შემოსული განცხადებების საფუძველზე და 2 შემთხვევაში გავეცით მოპასუხე მხარეზე წერილობითი გაფრთხილება.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N-2401 განკარგულებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ლენტეხის მუნიციპალიტეტის 60 სოფელს გამოიყო 604000 ლარი. დასრულებულია პროგრამით გათვალისწინებული ყველა სამუშაო. ხოლო 11 შემსრულებლებს ვადა-გადაცილების გამო დაეკისრა ჯარიმა, რაც შეადგენს 2995 ლარს.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის N-301 განკარგულებით ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის მთის განვითარების ფონდიდან გამოიყო 354178 ლარი. აღნიშნული თანხით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი სოფელ ჟახუნდერში საავტომობილო გზის მოწყობაზე. გამარჯვებულია შპს „ლ.კ ჯგუფი“ სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 354178 ლარს. პროექტის დასრულებას ხელი შეუშალა ამავე თემში სოფ.ლეღვანში საავტომობილო გზის სამუშაოებმა და შემდეგ ზამთრის კლიმატურმა პირობებმა.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 04 ივნისის N-779 განკარგულებით ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის მთის განვითარების ფონდიდან გამოიყო 767 758 ლარი. განხორციელდა 8 პროექტი:

1. სოფ საყდარში მოსახლეობის დაცვის მიზნით მდ.ჩოლშურაზე ნაპირსამაგრის მოწყობა;
2. სოფელ საყდარში (ესიერის უბანი) ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა;
3. სოფ მამში ბეტონის საფარიანი გზის და ხევზე გაგასასვლელის მოწყობა;
4. სოფლებში ნაცულსა და მარგვიშში გზის ბეტონის საფარით მოწყობა;
5. სოფ ხელედში ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა;
6. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ.ჭველფში წყალსადენის მოწყობა და სოფ ხელედში ნარიშერლების უბანში წყალმიმღები ავზის, გამანაწილებელი ავზის და მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები;

7. სოფელ შკედში გზის ბეტონის საფარით მოწყობა;
8. სოფ ჩიხარეშში შიდა გზის ბეტონის საფარით მოწყობა და სანიაღვრე არხების მოწყობა;

ყველა პროექტი დასრულებულია.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 28 თებერვლის N-2402 განკარგულებით ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოიყო 4 165 626 ლარი. დაფინანსებულია 28 პროექტი რომელთა უმრავლესობაც დასრულებულია.

დასრულებულია შემდეგი პროექტები:

1. სოფ.გაღმა ლექსურაში შიდა სასოფლო გზის მოწყობა ბეტონის საფარით და სოფ.კახურაში სასოფლო გზის მოწყობა ბეტონის საფარით;
2. სოფ.რცხმელურში და სანიაღვრეფანაგაში არხების მოწყობა, ხოლო დაბა ლენტეხში ჭავჭავაძის ქუჩაზე ტერიტორიის მოსწორება და სანიაღვრე არხის მოწყობა;
3. სოფ.ხელედში ადგილ ძუღვარეშში საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია;
4. სოფ.ლეკოსანდში შიდა სასოფლო გზის მოწყობა ბეტონის საფარით,სოფელ საყდარში ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა,სოფ.ჩუკულში (ნაკიშერის უბანში) გზის და საყრდენი კედლის მოწყობა,ასევე ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ,სასაშში ნაკირჩხულაშის უბანში გზის მოწყობა;
5. სოფელ ლამანაშურში წყლის სისტემის მოწყობა, სოფ. ყვედრეშში სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა, სოფ. მანანაური წყალსადენის მოწყობა;
6. სოფ.ჩიხარეშში და ჩუკულში წყალსადენების რეაბილიტაციისათვის საჭირო სამუშაოები;
7. სოფ.ჭველფში მდ.ცხენისწყალზე არსებული ხიდის საფარის რეაბილიტაცია და სოფ.ჟახუნდერში დოლობირის ხიდის რეაბილიტაცია;
8. სოფ. ხოფურში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია;
9. სოფ.ნანარში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია;
10. ლეტეხის მუნიციპალიტეტში, სოფ.ლესემაში მოსახლეობის დაცვის მიზნით მდ.ხელედურაზე ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა;
11. სოფ. ლეკოსანდში შიდა სასოფლო გზის ბეტონის საფარით მოწყობა (მეორე ეტაპი);
12. სოფელ კახურისკენ სასოფლო გზის მოწყობა და სოფ. ლასკადურაში ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა;
13. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ.ცანაში მდებარე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია;
14. სოფ.გაღმა ლექსურაში და სოფ.ლეუშერში მინი სტადიონის მოწყობა;
15. სოფ. გულიდაში ბეტონის საფარიანი გზისა და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები;
16. ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფ.ხელედი-სკალდის დამაკავშირებელი გზის და სოფ .წანაშში ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა.ასევე სოფ.წანაშში იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაზე ბილიკის მოწყობა;
17. სოფ. ლექსურაში სვანეთის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა, ბაბლოჩერის უბანში მოსახლეობის დაცვის მიზნით ბეტონის კედლის მოწყობა;
18. სოფელ დურაშში წყალსადენის მოწყობა;

19. სოფელ კახურაში და გულიდაში წყალსადენების მოწყობა;
20. სოფ.ყარიშში ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა. სოფ.ბაბილში ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა და ლებოჩიკის უბანში ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა;
21. სოფ. ჩიხარეშში ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა;

ასევე 2024 წელს რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხებითა და თანადაფინანსებით განხორციელდა 9 პროექტი, რომელთა ღირებულება შეადგენს 1 051 132 ლარს.

თანადაფინანსებით შესრულდა შემდეგი პროექტები:

1. 1.ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფ.ლეკოსანდში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია. 2.ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ.ნანარში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია
2. სოფ. დურაშში შიდა სასოფლო გზის ბეტონის საფარით მოწყობა და სოფ. ლეუშერში შიდა სასოფლო გზის ბეტონის საფარით მოწყობა
3. სოფელ ლეღვანში შიდა სასოფლო გზის მოწყობის ბეტონის საფარით მე-2 ეტაპი
4. 1.სოფ.ხაჩეშში გზის დაცვის მიზნით ფერდის შემაკავებლი გაბიონის მოწყობა და ღელის კალაპოტის ამოწმენდა-გაზიდვა. 2.სოფ.ხაჩეშში მდინარის კალაპოტის ფორმირება..
5. ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხოფურში და სოფ. რცხმელურში მინი სტადიონების მოწყობა
6. სოფ. მებეცში შიდა სასოფლო გზის ბეტონის საფარით მოწყობა და სოფ. სასაშში (გოთშერის უბანი) გზის მოწყობა ბეტონის საფარით
7. სოფელ ახალშენში გზის საყრდენი კედლის მოწყობა
8. ლენტეხის მუნიციპალიტეტში, კურორტ მუაშში მჟავეწყლისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა
9. 1.სოფ.მელეში მდ.ცხენისწყალზე კალაპოტის ფორმირება და ნაპირსამაგრების მოწყობა. 2.სოფ.სასაში რაჟიკო გულბანის სახლთან კედლის მოწყობა.

საქართველოს მთავრობის 2023წ 02 მაისის N-648 განკარგულებით ლენტეხის მუნიციპალიტეტს სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოეყო 2 068 223 ლარი. სოფ. ხერიაში და სოფ. ჩუკულში ნაკიშერის უბანში ხიდების მოსაწყობად გამოიყო თანხა ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს 1 132 255 ლარს, პროექტები არის გარდამავალი. სამუშაოებს ასრულებს **შპს „ავტოგზა ლენტეხი 99“**-ი. შესრულებულია სამუშაოების 85%.

დასრულდა ლენტეხის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციოდ ,,სოფ რცხმელურში მდინარე სახრავის კალაპოტის დაღრმავებისა და გასწორხაზოვნების სამუშაოები და სოფ მაზაშში ღელის კალაპოტის დაღრმავებისა და გასწორხაზოვნების სამუშაოები“. ასევე, სოფ ლამანაშურში მდინარის კალაპოტის დაღრმავებისა და გასწორხაზოვნების სამუშაოები“ და მდინარე ლახაშურის კალაპოტის დაღრმავებისა და გასწორხაზოვნების სამუშაოები“. სამუშაოებს შეასრულა **შპს „ელიტ ბილდერს გრუპი“**-მა.

მიმდინარეობს 3 პროექტი:

1. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ სოფელ ჩუკულში და სოფ. შკედში ხიდბოგირების მოწყობა;
2. ლემზაგორში შესასვლელი გზის დამცავი გაბიონის მოწყობა;
3. სოფ. ლემზაგორში ქვედა უბანში რკ/ ბეტონის სანიაღვრე არხის და რკ/ბ კედლის მოწყობა;

   რომელთა ღირებულებაც შეადგენს 435 540.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 აგვისტოს N-1456 განკარგულებით 2020-2022წწ. საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის დაბა ლენტეხში სპორტული დარბაზის რეაბილიტაციისთვის გამოიყო 750 000 ლარი. სამუშაოებს ასრულებდა ამხანაგობა „დაგი+"-ი. შემსრულებელი შეფერხებით და არაჯეროვნად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს. ასევე დაარღვია გეგმა-გრაფიკი და პირგასამტეხლომ გადააჭარბა ხელშეკრულების საერთო ღირებულებას. შესაბამისად, დაეკისრა ჯარიმა 34 639 ლარის ოდენობით და შეუწყდა ხელაშეკრულება. ტენდერი გამოცხადდა ხელმეორედ, გამარჯვებული გახდა **შპს „აბსოლიტპლუსი",** ხოლო ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 479 770 ლარს. სამუშაოების ნაწილი დასრულებულია.

ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული იყო და ჩვენს სამსახურს საზედამხედველოდ გადმოგვეცა 11 პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება იყო 366 913 ლარი.

1. დაბა ლენტეხში აგრარული ბაზრისთვის ალუმინის ფანჯრების მონტაჟი-12 395 ლარი;
2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიაში მერის ოთახების რეაბილიტაცია- 30 753.16 ლარი;
3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი დანიშნულების შიდა სასოფლო გზების თოვლის საფარისგან და ჩამონაშალი ქანებისაგან გაწმენდა- 39 580.5 ლარი;
4. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაკავშირებული სამუშაოები- 20 000 ლარი;
5. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი დანიშნულების სასოფლო გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდის სამუშაოები- 38 327 ლარი;
6. დაბა ლენტეხში დაზიანებული ასფალტის საფარის ორმოული შეკეთება- 32 886.6 ლარი;
7. დაბა ლენტეხში მჟავე წყალთან წყალსადენის მოწყობა- 4 161.51
8. დაბა ლენტეხში სვანეთისა და აღმაშენებლის ქუჩებზე სანიაღვრე არხებზე რკინის ცხაურების მოწყობა- 27 508.16
9. დაბა ლენტეხში საპირფარეშოს რეაბილიტაციის სამუშაოები- 12 796.61
10. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი დანიშნულების შიდა სასოფლო გზების თოვლის საფარისგან და ჩამონაშალი ქანებისაგან გაწმენდა- 148 503

2024 წლის განმავლობაში ხელშეკრულება შეწყდა 1 პროექტის ფარგლებში:

1. შპს ლექართა-ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი დანიშნულების შიდა სასოფლო გზების თოვლის საფარისგან და ჩამონაშალი ქანებისაგან გაწმენდა;

2024 წლის განმავლობაში პირგასამტეხლოს, ვადა-გადაცილებისა და სამუშაოების არა ჯეროვნად შესრულების გამო ჯარიმა დაეკისრა შემდეგ შემსრულებელს:

1. შპს ელიტ ბილდერს გრუპი 8 198 ლარი
2. შპს ავტოგზა ლენტეხი 99 38 654 ლარი
3. შპს აბსოლუტპლუსი 1 631 ლარი
4. შპს ლ.კ ჯგუფი + 2 008 ლარი
5. შპს ბეკა 7 913 ლარი
6. შპს გლობალმშენი 878 ლარი
7. შპს ლილეო 127 ლარი
8. შპს ლიდერმშენი 555 709 ლარი
9. შპს საძმო 149 ლარი
10. შპს ვიქტორია + 4 075 ლარი
11. შპს საგზაო 333 386 ლარი
12. შპს გეგუ 494 ლარი
13. შპს აქვაჰაუსი 74 ლარი
14. შპს ლექართა 3 173 ლარი
15. შპს გამა + 25 267.20 ლარი
16. შპს ბიელი 3 344 ლარი
17. შპს ჯორჯიან ინჟინირინგი 7 448.60 ლარი
18. ი/მ მურმან ტოგონიძე 4 128 ლარი
19. შპს ელ თი ბი ჯგუფი 335 ლარი

ჯარიმის საერთო ღირებულებამ შეადგინა 101 991 (ასერთი ათას ცხრა ას ოთხმოცდა თერთმეტი) ლარი

სოფლის პროგრამის ფარგლებში ვადა-გადაცილების გამო შემსრულებლებს დაეკისრათ ჯარიმები. მათი ჯამი შეადგენს 2995 ლარს.

2024 წლის განმავლობაში ჯარიმების საერთო ღირებულებამ შეადგინა 104 986 ლარი.

ეკონომიკური განვითარების სამსახური

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური შედგება ორი განყოფილებისგან, რომლებიც დაკომპლექტებულია სრულად, სათანადო კომპეტენციის მქონე კადრებით და ყველა საჯარო მოხელეს აქვს შესაბამისი სამუშაო უნარები.

განყოფილებები თავიანთ მოვალეობებს ახორციელებენ კანონმდებლობით გათვალისწინებული გეგმების მიხედვით, მათი უფლება-მოვალეობის კომპეტენციის ფარგლებში, დებულების შესაბამისად.

ეკონომიკური განვითარების სამსახურის თანამშრომლები სისტემატურად ღებულობენ მონაწილეობას ლენტეხის მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში, თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა კომისიებში, კერძოდ- საპრივატიზაციო კომისიაში, მერიის საინვენტარიზაციო კომისიაში, შესასრულებელი სამუშაოების მიმღებ, მაღალმთიანობის სტატუსის მიმნიჭებელ კომისიებში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის სოფლებში საერთო კრების ჩატარების მიზნით სამუშაო ჯგუფებში.

საანგარიშო პერიოდში ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება აწარმოებდა მუნიციპალიტეტში არსებული ქონების აღრიცხვა-რეგისტრაციას, მუშაობდა სახელმწიფო ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის საკითხებზე, რეკომენდაციებს შეიმუშავებდა მუნიციპალური ქონების კატეგორიების განსაზღვრასა და შეცვლასთან, მუნიციპალური ქონებით სარგებლობასთან დაკავშირებით, აგრეთვე ამზადებდა საჭირო რეკომენდაციებსა და დოკუმენტაციას მუნიციპალური ქონების პრივატიზებასა და სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ახორციელებდა მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქცია-მოვალეობებს.

2024 წელს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან შესასრულებლად შემოსულია 230 წერილი, რაზედაც მომზადდა შესაბამისი პასუხები.

აზომვით/აგეგმვითი ნახაზების შედგენასთან დაკავშირებით 2024 წლის 21 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება N 300 ი/მ. თორნიკე ფართლაძესთან. 9 ობიექტზე მომზადდა აზომვითი/ აგეგმვითი ნახაზები შესაბამისი ელ ვერსიებით. მომზადდა დოკუმენტაცია სახელმწიფო ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემა-რეგისტრაციისთვის. ამ პროცესის წარმართვისთვის ვხელმძღვანელობთ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 ოქტომბრის N233 დადგენილებითა და სხვა კანონმდებლობის გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით ვთანამშრომლობთ შემდეგ სახელმწიფო უწყებებთან: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსიპ-მინერალური რესურსების სააგენტოსთან, სატყეო და საავტომობილო გზების დეპარტამენტებთან, სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან, ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან.

საანგარიშო წლის განმავლობაში მუნიციპალურ საკუთრებაში დარეგისტრირდა 10 ობიექტი, დაუსრულებელია 6, ხოლო უარყოფითი პასუხით დასრულდა 2 ობიექტი. 2023 წლის ნოემბერში დაიწყო და 2024 გაგრძელდა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის

ფარგლებში რცხმელურის, ხოფურის, ხელედის და ჩოლურის ტერიტორიულ ერთეულებში მუნიციპალურ საკუთრებაში დასარეგისტრირებელი ობიექტებზე დოკუმენტაციის მომზადება.

2024 წელს მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოგვეცა მოძრავი ქონება - ავტოსატრანსპორტო საშუალების სახით 1 (ერთი) ერთეული ნაგავმზიდი, რაზედაც მომზადდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

მომზადდა საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი ობიექტების შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტები და დაიდო ხელშეკრულება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსთან, შეფასდა 11 ობიექტი.

საპრივატიზებოდ გამოტანილი იქნა შემდეგი ქონება:

1. დაბა ლენტეხში მდებარე უძრავი ქონება ს.კ. 87. 04. 23. 001 /**არ გაყიდულა/**

დაბაში კერძო მფლობელობაში არსებულ ბინებზე დოკუმენტაციის მოძიებასა და საკუთრების მოწმობის გაცემასთან დაკავშირებით საანგარიშო წელს შემოსულია 5 (ხუთი) განცხადება და მოწმობა გაცემულია ხუთივე მესაკუთრეზე.

ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება აწარმოებს ხელშეკრულების პროექტების მომზადებას, კერძოდ მომზადდა და გაფორმდა ორი საიჯარო ხელშეკრულება.

2024 წელს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის წარმომადგენლების მიერ მოხდა მუნიციპალური ქონების ელექტრონული აღრიცხვა და ღირებულებითი შეფასება, ასევე მათივე შექმნილ ელ. პროგრამაში eProperty.ge -ში ნაწილობრივ შეყვანილ იქნა მუნიციპალური ქონება.

ქონების აღრიცხვის მიზნით განყოფილებამ აწარმოა გასვლითი მუშაობა საჭირო დოკუმენტაციის მოსამზადებლად, ასევე მოსახლეობასთან შეხვედრა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით მიზანშეწონილობის შესახებ, რაზედაც მომზადდა შესაბამისი ოქმები.

ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების თანამშრომლები სისტემატურად ამზადებენ წინადადებებს, დასკვნებს და რეკომენდაციებს მუნიციპალური ქონების კატეგორიების განსაზღვრასა და შეცვლასთან დაკავშირებით, მუნიციპალური ქონების შექმნის, შეძენის, პრივატიზების ან სარგებლობის უფლების გადაცემის შესახებ.

მოსაკრებლების ადმინისტრირებისა და კონტროლის განყოფილება მუშაობას წარმართავს განყოფილების სამუშაო გეგმისა და მერიის დებულების შესაბამისად, კერძოდ: ახდენენ ადგილობრივ გადასახადებზე და მოსაკრებლებზე წინადადებების შემუშავებას, ადგილობრივი გადასახადებისა და განაკვეთების შემუშავებას კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღების უზრუნველყოფას, ეკონომიკური განვითარების დასაგეგმად საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას და დამუშავებას. მოქმედი კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

2024 წელს განყოფილებაში შემოსულია 51 წერილი, აქედან 21 საინფორმაციო ხასიათისაა, 30 პასუხგაცემულია.

რაც შეეხება გადასახადებს:

1. ქონების გადასახადი გეგმა - 50,000 ფაქტიური შეადგენს - 61,00 ლარს - 122%;

2. გეგმა რენტა - 250,000 ლარი; ფაქტიურმა შეადგინა - 69,478 ლარი;

3. ადმინისტრაციული მოსაკრებელი: საქონელი და მომსახურება გეგმა: - 50,000 ლარი, ფაქტიური - 24,270 ლარი; დასუფთავების მოსაკრებელი, გეგმა: 9,360 ლარი, ფაქტიური -4,860 ლარი;

4. სანქციები, ჯარიმები, საურავები - გეგმა: 150,000 ლ; ფაქტიური - 32,176 ლარი;

განყოფილების მიერ ხდება დასუფთავების მოსაკრებლების ხელშეკრულების მომზადება ინდ. მეწარმეებსა და იურდიულ პირებთან, 2024 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით გაფორმებულია სულ - 40 ხელშეკრულება, აქედან იურდიულ პირზე - 20, ფიზიკურ პირზე - 20. ხელშეკრულების გაფორმების პარალელურად გვაქვს საკრებულოს მიერ დამტკიცებული ქვითარი, ქვითრის ამოწერის შემდეგ ხდება მოსაკრებლების ამოღება შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვით. დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება არ ხდება მოსახლეობიდან, რისთვისაც საჭიროა შეხვედრები დაბის მოსახლეობასთან. შეხვედრებში ჩართული უნდა იყვნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელი პირები, დაბის მაჟორიტარი დეპუტატი და სხვა პასუხისმგებელი პირები.

განყოფილება მუშაობს წიაღის მოპოვებაზე ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის საკითხზე, რის შესახებაც წიაღის ეროვნული სააგენტოდან შემოსულია სულ 6 წერილი, ლიცენზიის გაცემის თაობაზე, ადგილზე მისვლით და მოსახლეობასთან შეხვედრით შესწავლილია ყველა ობიექტი და მოტივირებული/დასაბუთებული პასუხი თანხმობაზე გაეცა წიაღით სარგებლობაზე 4 ობიექტზე, ხოლო უარყოფაზე 2 -ს.

ამავე განყოფილებაში შედის სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. საანგარიშო პერიოდში მუდმივად ხდებოდა სტატისტიკური მონაცემების ცვლილება-განახლება ლენტეხის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული, სოციალური, დასაქმებულთა და თვით დასაქმებულთა აღრიცხვა, ასაკობრივი დიფერენცირება/დაყოფა, ბიზნეს სექტორის აღრიცხვა, კომლთა რაოდენობის დადგენა მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებების და იქ მომუშავე პერსონალის რაოდენობრივი აღრიცხვა. ასევე აღრიცხულია თითოეულ თემში წარმოებული შინამეურნეობა. ყოველდღიურად ხდებოდა სტატისტიკური მონაცემების გადაგზავნა რაჭა, ლეჩხუმისა და ქვ. სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში. ეს ყველაფერი ემსახურება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების დაგეგმვას. ასევე ინტენსიურად ვმუშაობთ მუნიციპალური განვითარების პროექტებზე.

ეკონომიკის სამსახურის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული სხვადასხვა ტრენინგებში, რითაც მიეცათ საშუალება კვალიფიციური დონის გაუმჯობესებისა და ამაღლების;

განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური წარმოდგენილია სამი განყოფილებით:

1. განათლების, კულტურისა და გენდერულ საკითხთა განყოფილება;

2. სპორტის, ახალგაზრდობისა და ტურიზმის განვითარების განყოფილება;

3. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის განყოფილება;

სამსახური კოორდინაციას და მონიტორინგს უწევს რვა ა(ა)იპ-ს, რომლებიც მუშაობენ გეგმა-პროგრამების მიხედვით, აღნიშნული გეგმა-პროგრამები იქმნება წლის დასაწყისში და გაწერილია მთელი წლის საქმიანობა.

სამსახურის ინიციატივით, ა(ა)იპი-ებთან ურთიერთ თანამშრომლობით, 2024 წლის დასაწყისში დაიგეგმა და ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები: ახალგაზრდული, სპორტული, კულტურული, ინტელექტუალურ-შემეცნებითი. განხორციელდა ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების გასტროლები, სპორტსმენთა ტურნირებზე წარდგენა. სასწავლო სპორტული შეკრებები (ზამთრისა და ზაფხულის). მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში 2024 წელს ჩატარდა რამდენიმე ინტელექტუალურ-შემეცნებით და სპორტული ღონისძიება. პოპულარიზაციის მიზნით, შექმნილია სამსახურის და ა(ა)იპ-ების ფეისბუქ-გვერდები. რომელთა მეშვეობითაც პოპულარიზაცია გაეწია ახალგაზრდულ, სპორტულ, კულტურულ, ინტელექტუალურ-შემეცნებით ღონისძიებებს. სამსახურს 2024 წელს, ბიუჯეტში განესაზღვრა კულტურული ღონისძიებებისათვის 50000 ლ, ახალგაზრდული 7000 ლარი და სპორტული ღონისძიებებისათვის 40 000+50000= 90000ლ.

2024 წლის განმავლობაში კულტურისა და განათლების სფეროში წლის განმავლობაში ჩატარდა 56 კულტურული ღონისძიება. როგორს მუნიციპალიტეტის დაფინანსებული ასევე სახვადასვა სახის.. სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

1. შობა -ახალი წელი ლენტეხში 2024 წ--5 იანვარი

2. დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიება სახელწოდებით ,,ქალთა კვირეული 3-8 მარტი“, რისთვისაც სხვადასხვა კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სივრცე /მ/ა სახლი, ბიბლიოთეკა, სამხატვრო სახლი, მუზეუმი/
3. ღონისძიება ,, 35 წელი 9 აპრილის ტრაგედიიდან“
4. ,,დედა ენის დღე“

5. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ,,26 მაისი დამოუკიდებლობის დღე“

6. სახალხო-რელიგიური დღესასწაული ,,სკალდობა“;

7. 10 ივნისი - ანა ლაშხელი ონიანის სახელის უკვდავსაყოფად- პროექტი ,,ლექსი კედელზე“.

8. ჩვენი მუნიციპალიტეტის ეროვნული გმირის ალეკო ონიანის გახსენების / აგვისტო / დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

9. სახალხო დღესასწაულის „ლენტეხობა“ ორგანიზება 20 ოქტომბერი 2024 წ;

10. თენგიზ გაზდელიანის სახელობის მონუმენტის გახსნის ღონისძიება 19 ოქტომბერი 2024წ

11. ჯ.მეშველიანის სახელობის ფოლკლორული ანსამბლი „ლილე“-ს, ჯოკია და გელა გუგავას სახელობის ანსამბლი „ლაგუშედა“-ს და შურმან ბენდელიანის სახელობის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ცერული“-ს ვარსკვლავების გახსნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც კულტურის სამსახურისა და ა.ა.ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების, ჯ.მეშველიანის კულტურის ცენტრთან ერთად დაორგანიზდა. 22 ოქტომბერი 2024წ;

სხვადასხვა საერთაშორისო და რესპუბლიკური მნიშვნელობის ფესტივალებში და სხვადსხვა ადგილობრივ და რეგიონალურ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს: ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა ,,სვანეთის შვილები“ და ,,ცერული“.

საერთაშორისო ფესტივალში ,,კავკასია 24“, სამხატვრო სკოლის ბავშვების ნამუშევრების გამოფენები ,,თბილისობა“-ზე, აგრეთვე ბათუმში საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე ,,WANDERLAN”-ში. მონაწილეობა მიიღო სამხატვრო სკოლის 41 მონაწილემ, სკოლა დაჯილდოვდა და მიენიჭა პირველი ადგილი, დაჯილდოვდა მედლით, თასით და დიპლომით, სამხატვრო სკოლამ ასევე მონაწილეობა მიიღო ქ. თელავში საერთაშორისო კონკურსში , სადაც სკოლამ პირველი ადგილი აიღო და დაჯილდოვდა თასით და მედლით.

ნოემბერში კულტურის ცენტრში ჩატარდა ,,ოპერა „ ჩვენს ქალაქში . აგრეთვე ნოემბერში ჩატარდა ანსამბლ ,,რუსთავი“-ს ვოკალური სოლო კონცერტი და ცაგერის საბავშვო თეატრი ,,ჭინჭრაქა“-ს

2024 წლის სექტემბრის თვიდან ჯ.მეშველიანის სახელობის ფოლკლორული ანსამბლი „ლილე“ ჩაერთო 1 არხის მიერ ორგანიზებულ პროექტ „ხალხური“-ში სადაც მოხდა რამოდენიმე ეტაპის გავლა ანსამბლი გასულია ფინალურ ეტაპზე და 6-7 ნოემბერს წარდგება პროექტის შემაჯამებელ ღონისძიება კონცერტზე, რომელიც გადაიცემა პირდაპირ ეთერში.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების მიზანია ბაშვთა ჰოლისტური განვითარება და მათი სასკოლო მზაობისთვის მზადყოფნა. ის ითვალისწინებს ბავშვის ფიზიკურ განვითარებას, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას. არცერთი ბავშვი სკოლამდელი განათლების გარეშე. მთელი საგანმანათლებლო პროცესი ამ მიზნების განხორციელებას ემსახურება. 2024 წლის გეგმა პროგრამა და მასში გაწერილი ყველა

აქტივობა, კვირიანი, ერთვიანი, თუ ერთწლიანი გეგმა მთელი საგანმანათლებლო პროცესი ამ მიზნების განხორციელებას ემსახურება.

მოგახსენებთ, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების დაქვემდებარებაშია სულ 15 საბავშვო ბაღი და რაიონის ცენტრალური საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 131-ს (გაერთიანების თანამშრომლების ჩათვლით), ხოლო აღსაზრდელთა რაოდენობა არის 119.

2024 წელს შესასრულებელი ღონისძიებებიდან, რომლებიც გეგმა-პროგრამის მიხედვით იყო დაგეგმილი კვარტალურად, ყველა აქტივობა ჩატარდა ყველა საბავშვო ბაღში. აქტივობები ატვირთულია ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების გვერდზეც.

მოგახსენებთ რომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მიერ ავტორიზაციის გავლის, მისი შეჩერების და დროებითი შეწყვეტის შესახებ მთავრობის დადგენილება ითვალისწინებს 4 სტანდარტს 1. ინფრასტრუქტურა. 2. კურიკულუმი. 3. კვება და სანიტარული მდგომარეობა და ჰასპი.

2024 წელს ერთი საბავშვო ბაღი (თეკალის) გადაყვანილი იქნა ალტერნატიულ შენობაში. დღევანდელი მდგომარეობით 5 საბავშვო ბაღია ალტერნატიულ შენობაში განთავსებული.. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი ყველა ბაღის ინფრასტრუქტურა საჭიროებს მოწესრიგებას, გამონაკლისია საყდრის ბაღი.

საგანმანათლებლო მიმართულებით 2024 წლისთვის დანერგილი იქნა ახალი საგანმანათლებლო მეთოდოლოგია, რომელიც შემუშავებულია იქნა გაერთიანებული საბჭოს მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან გაერთიანების თანამშრომლები, ბაღის გამგეები, აღმზრდელები და მშობლები. ეს მეთოდოლოგიაა „კურიკულუმი 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის. ამისთვის გადამზადებული იქნა 34 თანამშრომელი ორ ეტაპად. 2024 წლის სექტემბერში პირველი ნაწილი იყო თამაში მეორე კურიკულუმი. ასევე გადამზადდენ ინკუზიური მიმართულებით. ტრენინგში მონაწილე ყველა თანამშრომელმა წარმატებით გაიარა ტესტირება.

2024 წლის განმავლობაში საბავშვო ბაღებში კვებაში გვაქვს დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. გვაქვს ერთიანი მენიუ შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინებით. ასევე გამდიდრებულია კვების რაციონიც თითოეულ ბავშვზე იხარჯება 4.05 ლარი.

ასევე დამაკმაყოფილებელია ჰიგიენური მდგომარეობაც, ჰიგიენური საშუალებების მიწოდება ხდებოდა დროულად და საკმარისად.

რაც შეეხება ჰასპს მისი დანერგვა 2024 წელს ვერ მოხერხდა ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე და ამავე დროს წერილობით ეთხოვა სურსათის უვნებლობის სამსახურს ვადის გადაწევასთან დაკავშირებით.

სპორტის სფეროში გაწეული საქმიანობის ანგარიში 2024 წლის განმავლობაში:

სპორტის, ახალგაზრდობისა და ტურიზმის განვითარების განყოფილება მონიტორინგს ახორციელებს ა(ა)იპი სასპორტო გაერთიანების, ა(ა)იპ. ო. ლიპარტელიანის სახ. ოლიმპიური მომზადების ცენტრისა და ტურიზმის განვითარების ცენტრ „ლაილა“-ზე. განყოფილება მუშაობდა მუნიციპალური პროგრამების, პროექტებისა შემუშავებასა და განხორციელებაზე. აღნიშნული პროგრამა მოიცავს 4 დამოუკიდებელ პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების ხელშეწყობას. ეს პროექტებია 1. ახალგაზრდებისა და პერსპექტიული სპორტსმენების ხელშეწყობა. 2 . მასობრივი სპორტის განვითარება და შ.შ.მ პირთა ხელშეწყობა. 3. წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოების პროექტი 4. სასკოლო სპორტული ოლიმპიადა. წლის დასაწყისში დამტკიცებული გეგმა-პროგრამები საშუალებას გვაძლევს წინასწარ დავგეგმოთ და განვსაზღვროთ სამოქმედო გეგმა. ხოლო სუბსიდიით გათვალისწინებული თანხები, პრიორიტეტების გათვალისწინებით, გადავანაწილოთ. 2024 წელს მუნიციპალიტეტის მერიის სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისთვის გათვალისწინებულ მუხლში არსებული სუბსიდია შეადგენდა 90000 ლარს. საიდანაც გადაირიცხა რაგბის ,,ბ“ ლიგის საწევრო--50000ლ. ასევე ა(ა)იპ ლენტეხის სასპორტო სკოლების გაერთიანებამ სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის მიიღო სულ 20583 ლარი, რომელიც მარტის თვიდან ეტაპობრივად გადავიდა მათ ანგარიშზე, ხოლო, ა(ა)იპ. ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის ლენტეხის ოლიმპიური მომზადების ცენტრის ანგარიშზე არსებულმა თანხამ, რომელიც აქაც ეტაპობრივად იქნა დამატებული მათი სუბსიდიისთვის- სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად, შეადგინა 7230 ლარი.

მერიის განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის ორგანიზებით და დაფინანსებით 17209 ლ სპორტისა და ახლგაზრდული მიმართულებით ჩატარდა სულ 62 ღონისძიება. უშუალოდ სამახურმა ჩაატარა შემდეგი (12) ღონისძიებები:

1. 26 თებერვალი--კურორტ მუაშში პირველად ჩატარდა ზამთრის სპორტის სახეობაში რესპუბლიკური მნიშვნელობის ტურნირი ,,ბიატლონ სვანეთი“, სადაც ლაშხეთის გუნდიდან საპრიზო ადგილები აიღეს საბა ონიანმა და ნოდარი ონიანმა
2. თებერვლის თვიდან დაიწყო და შემოდგომამდე გაგრძელდა საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის თამაშები (მუნიციპალური, რეგიონალური, და ზონალური)
3. 20 მაისს მჟავე წყლის ტერიტორიაზე ჩატარდა მუნიციპალური ტურნირი მკლავჭიდში
4. 14 ივნისს ჩატარდა გერასიმე ქურასბედიანის სახელობის მუნიციპალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში
5. სულთმოფენობის დღეს, სკალდის და ფაყის წმინდა სალოცავებთან გამართულ სახალხო დღესასწაულზე გაიმართა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში (დოღი, მკლავჭიდი, ჭიდაობა და სხვა).
6. 30 ივნისს ჩვენი მოჭიდავეები და მკლავჭიდელები დ. მესტიაში ჰულიშობაზე 6 მედლის მფლობელი გახდენ.
7. სპორტული აქტივობები ჩატარდა ჩიხარეშის თემში „ლაშხეთობის“,, სოფელ სასაშში ,,ზაგაროს“ მთაზე და ჩოლურში „ედიყობის“ სახალხო დღესასწაულებზე /სპორტული ღონისძიებები დოღი მკლავჭიდი , სვანური ჭიდაობა, ფრენბურთი/

8. აგვისტოს თვეში, ეროვნული გმირის ალეკო ონიანის მშობლიურ სოფელ ჟახუნდერში ჩატარდა ეროვნული გმირის ხსოვნისადმი მიძღვნილი სპორტული თამაში ფრენბურთში
9. სექტემბერში გაგრძელდა სპორტული ოლიმპიადა და „ევროპის სპორტის კვირეული“ ფარგლებში ჩატარდა სპორტული ღონისძიებები ფრენბურთში, მკლავჭიდში, ჭადრაკში და გეზრბენში
10. 21 ოქტომბერს, სოფელ ჟახუნდერში გაიმართა ვასო ონიანის სახელობის ძიუდოს მუნიციპალური ტურნირი;
11. 19 ოტომბერს „ლენტეხობის“ სახალხო დღესასწაულზე ჩატარდა სპორტული ღონისძიება საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ შედგენილი კალენდრის მიხედვით გურამ გუგავას სახელობის საქართველოს ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში.
12. ჩვენი მუნიციპალიტეტის საფეხბურთო გუნდმა,, სკალდმა“ მონაწილეობა მიიღო საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში ,,კროკობეთ მოყვარულთა ლიგა“ გუნდმა წარმატებულად ჩაატარა მუნიციპალური და რეგიონალური თამაშები. და გადავიდა დასავლეთ საქართველოს მეოთხედ ფინალში.

ასევე სამსახურის მიერ გაიცა დაგეგმილი პროგრამის თანახმად ფულადი ჯილდო წარმატებული სპორტსმენებზე: 2024 წლის ივნისის პირველ ნახევარში, ბოსნია ჰერცოგოვინას დედაქალაქ სარაევოში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობა ძიუდოში. რომელშიც მონაწილეობას მიიღეს საქართველოს ვეტერანმა ძიუდოისტებმა. საქართველოს ძოიუდოისტთა ეროვნული ნაკრების წევრთა შორის არიან ლენტეხის მუნიციპალიტეტის მკვიდრი ვეტერანი ძიუდოისტები, ევროპის ვერცხლის პრიზიორები: იაკობ გაზდელიანი და დავით მეშველიანი.

2024 წლის 15-25 აგვისტოს, მოლდოვის რესპუბლიკაში, ქალაქ კიშინოვში, ჩატარდა მკლავჭიდში 2024 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. საქართველოს მკლავჭიდის ერთიანი ეროვნული ნაკრების სპორტსმენმა, ლენტეხის მუნიციპალიტეტიდან მოიპოვა შემდეგი შედეგები: გიორგი კვასტიანი (პ/ნ 27001007642), ახალგაზრდული ნაკრები 23 წლამდელებში, 60 კგ-ში, მარცხენა ხელში დაიკავა პირველი ადგილი (მოიპოვა ოქროს მედალი), ასევე 60 კგ-ში მარჯვენა ხელში დაიკავა მესამე ადგილი (მოიპოვა ბრინჯაოს მედალი). გიორგი კვასტიანის მიღწეული წარმატების გამო, რითაც ასახელა საქართველო და ჩვენი მუნიციპალიტეტი, მერიის სპორტული ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული მუხლიდან ჯილდოს სახით გადაეცათ 500 (ხუთასი) ლარი.

2024 წლის 15-25 აგვისტოს მოლდოვის რესპუბლიკაში ქ. კიშინიოვში ჩატარდა პარა-მკლავჭიდში მსოფლიო ჩემპიონატი. სადაც გრიგოლ ქურასბედიანმა პ.ნ27001007524 პარა მკლავჭიდის მსოფლიო ჩემპიონატზე (სმენის კატეგორია) მოიპოვა ორივე ხელში ბრინჯაოს მედალი ასევე 2024 წლის მკლავჭიდზე ევროპის ჩემპიონატზე და პარა -ჩემპიონატზე ,რომელიც გაიმართა 2-12 მაისს სლოვაკეთში ზემოაღნიშნულმა სპორტსმენმა მოიპოვა ორივე ხელში ვერცხლის მედალი. სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისთვის გათვალისწინებული მუხლიდან საჩუქრად გადაეცათ 500(ხუთასი) ლარი.

ასევე დაჯილდოვდნენ ფულადი ჯილდოთი წარმატებული ძიუდოისტები გიორგი ჩანქსელიანი და ავთო მუკბანიანი. სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში /შეკრებები, მასტერკლასები, ივლისში-კურორტ შეკვეთილში, მონაწილეობა მიიღეს ლენტეხის სასპორტო სკოლების გაერთიანებასთან არსებული ლაშხეთის სასპორტო სკოლის ძიუდოს სექციის ბავშვების /12 ბავშვი/ სასწავლო საწვრთნელ შეკრებაში. ასევე ქ. ქობულეთში ივლისის თვეში დაფინანსდნენ და გაიარეს სასწავლო საწვრთნელი შეკრება ლენტეხის სასპორტო სკოლის და ხელედის ძიუდოს სექციის სპორტსმენებმა /22 ბავშვი / .

ლენტეხის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის გაერთიანების, ბაზაზე ფუქციონირებს ჭიდაობა ძიუდო, ქართული, სამბო, ფრენბურთი, სათხილამურო, კლდეზე ცოცვის და ჭადრაკის წრეები, სკოლაში სულ 150 აღსაზრდელი. სპორტსკოლის აღსაზრდელებმა მრავალ ტურნირში მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა რანგის რეგიონულ, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ტურნირებსა და შეჯიბრებებში ---- წარმატებული შედეგებით.

მიმდინარე წლის განმავლობაში კომპლექსური სასპორტო სკოლის გაერთიანების აღსაზრდელთა მიღწევების ჩამონათვალი ასეთია:

სულ მონაწილეობა მიიღეს 25 სპორტულ ღონისძიებაში / ჭიდაობა... სათხილამურო, ჭადრაკი ფრენბურთი, კლდეზე და ცოცვა/ მ/შ 8 სალიცენზიო ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში ძიუდო სამბო ქართული . სალიცენზიო ტურნირებში მოიპოვა 12 სპორტსმენმა. საქართველოს ჩემპიონატები --5. ქართული ძიუდო სამბო. ქვეყნის გარეთ სპორტულ ღონისძიებაში--1, სახელობით ტურნირი 14 საქართველოს ჩემპიონატებში ოქრო 1. ვერცხლი-3, ბრინჯაო 1. ტურნირებში პირველი ადგილი --4 მეორე --3 მესამე -6 ბრინჯაო, ბიატლონში 2 საპრიზო ადგილი, 1 საპრიზო ადგილი კლდეზე ცოცვაზე,

ლენტეხის ოლიმპიური მომზადების ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს რაგბის, ფეხბურთისა

და მკლავჭიდის სექციები.

რაგბის სექციას ემსახურება ერთი მწვრთნელი და ორი მწვრთნელის თანაშემწე. გუნდის მწვრთნელი და ერთი თანაშემწე ფინანსდებიან რაგბის ფედერაციიდან, ხოლო ერთი თანაშემწე ა(ა)ი პ-ის ბიუჯეტიდან. რაგბში მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით ოთხმოცი მოზარდია გაწევრიანებული, მათ ემსახურება მიკრო ავტობუსი. რაგბის გუნდების სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობის ხარჯებს რაგბის ფედერაცია აფინანსებს. დღემდე ჩატარებული აქვთ 16 გასვლითი მატჩი.

ფეხბურთის სექციას ემსახურება ერთი მწვრთნელი და ორი მწვრთნელის თანაშემწე. ამჟამად ორ ასაკობრივ ჯგუფში ოცდაათი მოზარდი ვარჯიშობს. 2024 წლის 1 ივლისიდან რეგიონში ჩატარებულ სამ გასვლით თამაშში აქვთ მონაწილეობა მიღებული და ერთი თამაში ადგილზე ჩატარებული. ფეხბურთის გუნდის სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობის ხარჯები (ტრანსპორტირება ,კვება) ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მკლავჭიდის სექციას ემსახურება ერთი მწვრთნელი და ერთი მწვრთნელის თანაშემწე. ამ სექციაში ვარჯიშობს ამჟამად თორმეტი მოზარდი. ჩვენს ბაზაზე რეგულარულად ტარდება

რაიონული სასკოლო შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობებში. სექტემბრის ბოლოს ჩატარდა ასეთი შეჯიბრი რაიონის მასშტაბით

ახალგაზრდული ღონისძიებები 2024 წელს სულ დაფინანსდა 7000 ლარით.

-- მაისის თვეში ჩატარდა შემეცნებითი საგანმანათლებლო პროექტი ,,ეტალონი" სადაც მონაწილეობა მიიღო საჯარო სკოლების 8 გუნდის 32 მონაწილემ ,,ლენტეხის ეტალონის გუნდი"-ს წოდება მოიპოვა სასაშის საჯარო სკოლის გუნდმა.

---21 აპრილს ლ. მუსელიანის სახ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმში პროექტის ფარგლებში ჩატარდა ღონისძიება,პროექტში ,,ჩვენი ფესვები" მონაწილეობა მიიღო ჩოლურის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, ეკოემიგრანტების ახალგაზრდა თაობამ და ლენტეხის მხარეთ მცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა. ეს ღონისძიება მიმართული იყო ეკოემიგრანტების თაობის მიმართ, ეს თაობა მოწყვეტილი არის წინაპართა ფესვებს, ტრადიციას, ისტორიას, სვანური ენის სწავლების ტენდენციას. ასეთი პროექტებით, ხშირი შეხვედრებით ხელს შეუწყობს მათი სვანეთისადმი სიყვარულისა და ცნობიერების ამაღლებას.პროექტის ფარგლებში ჩატარდა სხვადასვა კულტურული აქტივობები.... --

--ივლისის თვეში სტუდენტ- ახალგაზრდებისათვის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ შემეცნებითი სემინარი- თემატური საღამოს ,ჩვენ გვიყვარს ლენტეხი" პროექტის ფარგლებში ორგანიზება, რაშიც მონაწილეობა მიიღეს ლაშხეთის და ჩოლურის თემებიდან მოწვეულმა ახალგაზრდებმა და მუზეუმის თანამშრომლებმა.

-- 13-16 ოქტომბერს IBU (ბიატლონის საერთაშორისო ფედერაცია) ტექნიკურმა დელეგატებმა ჩაატარეს ტრენინგები სასტრუმრო კომორები ბაკურიანში. აღნიშნული მიზნად ისახავდა ყველა ბიატლონის მსაჯობის აპლიკანტების ცოდნის გაღრვმავებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას ფედერაციის წესდებასა და არსებულ დადგენილებებში. სწავლებას ესწრებოდნენ თებერვალში ბეატლონში გამარჯვებული სპორტსმენები ონიანი საბა და ონიანი ნოდარი. 4 დღიანი სასწავლო-საწვრთნელი შეკრება.

ტურიზმის განვითარევის ცენტრი ,,ლაილა"

ტურიზმის განვითარების ცენტრმა ,,ლაილამ'' 2024 წელს მრავალი ღონისძიება განახორციელა, რომელთა განხორციელებაც ხელს უწყობს მდგრადი ტურიზმის განვითარებას ლენტეხის მუნიციპალიტეტში.

2024 წლის აქტიური ტურისტული სეზონის დადგომის პარალელურად განახლდა მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული განთავსების ობიექტების ბაზა. ტურიზმის განვითარების ცენტრ ,,ლაილა''-სა და სვანეთის DMO-ს თანამშრომლობის შედეგად (დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია) განახლდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 2 სამთო საფეხმავლო ბილიკის მარკირება .

ისტორიულად ცნობილია, რომ სვანეთი მდიდარია გამოყენებითი ხელოვნების დარგებით, როგორებიცაა: ხალხური ინსტრუმენტების დამზადება, თექაზე მუშაობა, ხეზე კვეთა, ცივი იარაღის დამზადება. ჩვენი, როგორც ტურიზმის განვითარების ცენტრის მოვალეობა ამ

სფეროში მოღვაწე ადამიანებისა და მათი შემოქმედების აღმოჩენა-პოპულარიზაციაა. სწორედ ამიტომ ქვემო სვანეთის სხვადასხვა სოფლებში 2024 წლის ზაფხულში მოეწყო კულტურული ექსპედიციები და შეიქმნა ბაზა სადაც შესულია ინფორმაცია ამ ადამიანების შესახებ.

2024 წელს მოკვლეულ და შესწავლილ იქნა 3 სამთო-საფეხმავლო მარშრუტი რომელთა მარკირება და პოპულარიზაცია ხელს შეუწყობს რეგიონში საფეხმავლო ტურიზმის განვითარების, ეს მარშრუტებია 1.სოფ.რცხმელური ნატბეურას ჩანჩქერი სოფ.ყვედრეშის წრიული საფეხმავლო ბილიკი 2.დაბა ლენტეხი ედიაში მთა ლაბრახი ადგილი ლათქორიას წრიული საფეხმავლო ბილიკი.3.სოფ.სასაში ჯვრის უღელტეხილი უძირო ტბა სოფ შკედის საფეხმავლო ბილიკი.

2024 წელს ტურიზმის განვითარების ცენტრი ლაილა აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა მოლაშქრეთა კლუბებთან, ტურისტულ სააგენტოებთან და ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ტურიზმის ცენტრის ჩართულობით მოეწყო 2 ინფო ტური სადაც დამსწრე მოლაშქრეთა კლუბებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ქვემო სვანეთის ტურისტულ პოტენციალს.

სვანეთის dmo-სთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად დაიწყო და წარმატებით გრძელდება საერთო საინფორმაციო ბაზაში ინფორმაციების შეტანა, სადაც განთავსებულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული სერვისების კულტურული მემკვიდრეობის, ასევე უკვე არსებული სამთო- საფეხმავლო მარშრუტების შესახებ, ინფორმაციის მოძიება ელექტრონულად შესაძლებელია საიტზე : www.svaneTi.org

2024 წელს დამზადდა გზამკვლევები მარკირებული საფეხმავლო ბილიკიებისთვის,ასევე დაგეგმილია წლის ბოლომდე გამოიცეს ტურისტული გზამკვლევები ქართულ და ინგლისურ ენებზე სადაც შესული იქნება ინფორმაცია ქვემო სვანეთში ყველა თემის კულტურული მემკვიდრეობისა თუ ბუნებრივი ძეგლების შესახებ.

2024 წელს ტურიზმის განვითარების ცენტრი ლაილა სვანეთის dmo-სთან თანამშრომლობის შედეგად წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ტურისტულ გამოფენაზე როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის გარეთ, გამოფენებზე ვიზიტორებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ქვემო სვანეთის ტურისტულ პოტენციალს.

სპორტის სფეროში არსებული გამოწვევები და პრობლემები: - ლენტეხის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის ორსართულიან შენობაში ამჟამად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა შენობის გათბობის, წყალ-კანალიზაციის, სველი წერტილების, ეზოს მოუწყობლობის საკითხი. იმედია,

სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, მსგავსი პრობლემები აღმოიფხვრება. მიუხედავად იმისა, რომ წელს ოქტომბერში შემოტანილი იქნა სპორტული ინვენტარი საჭირო იქნება მისი შევსება. სპორტული ტანსაცმელი: კიმონოები და სამბოს ფორმები, ფრენბურთის ფორმები, ბურთები, ბადეები და სხვა ინვენტარი განსაკუთრებით ქართული ჭიდაობის ხალიჩა. მეკლდეურობის სექციისთვის, რამდენიმე წლის წინ, შევიძინეთ თოკები და აღჭურვილობა, მაგრამ არასაკმარისი რაოდენობით, მათ კვლავ ესაჭიროებათ მეტი რაოდენობით ინვენტარი, აგრეთვე, აღსადგენია ერთი მარტივი და ერთი რთული ცოცვის კედელები, როგორც დაბაზში და შენობის გარეთ. სპორტული სკოლა "ლაშხეთი" მდებარეობს სოფელ ჟახუნდერში, შენობა არის ძალიან სარემონტო. არ აქვთ შემორაგული ეზო. ზამთარში შენობის გათბობა თითქმის შეუძებელი იყო, წელს შემოტანილია ძვირად ღირებულლი შეშის გამათბობელი. სკოლაში არ არის სველი წერტილები და წყალი, აკლიათ სპორტული ინვენტარიც: გასანახლებელია ტატამი, დასამატებელია კიმონოები, ფრენბურთის ბურთები, ფორმები, ბადეები. კომპლექსური სასპორტო სკოლის გარდა გვაქვს ა(ა)იპ. ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის ლენტეხის ოლიმპიური მომზადების ცენტრთან არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა და ძალიან კარგი სტადიონი. თუმცა, სტადიონს აკლია ხელოვნური საფარი, რაც ართულებს საწვრთნელი ვარჯიშების ჩატარებას. ეზოში არის აუზი, რომლის გამოყენებაც თითქმის ვერ ხერხდება წყლისა და დენის მაღალი გადასახადის გამო. ფეხბურთელებს ესაჭიროებათ სპორტული ფორმები, ბურთები, ბადეები და სხვა ინვენტარი, მკლავჭიდელებს ესაჭიროებათ ახალი ინვენტარი

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

რაც შეეხება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით, სამსახური ინტენსიურად და აქტიურად არის ჩართული ღირსშესანიშნავი ადგილების, მოძიების, შესწავლის, აღწერის სამუშაოებში. სამსახურის ვებ გვერდზე რუბრიკით ,,ქვემო სვანეთის სიწმინდეები" ხდება მოძიებული ადგილების, ქვემო სვანეთის ღირსშესანიშნაობების, ისტორიული -კულტურული ძეგლების და სხვა ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა, გაცნობა და მისი გაპიარება. სამსახურის მიერ მომზადდა საპრეზენტაციოდ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პროფილი ,, ქვემო სვანეთის ისტორიული ძეგლები" . აქტიურად ვთანამშრომლობთ ძეგლთა დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან. სააგენტოს გადავცემთ იმ ძეგლების ჩამონათვალს , რომლის რეაბილტაცია ან რესტავრაცია უფრო პრიოტიტეტულია, ვინაიდან კანონდებლობით, ძეგლების აღდგენა-რესტავრაცია მთლიანად სააგენტოს უფლებამოსილებაა.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

2024 წლისთვის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებზე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია - 190 000 (ას ოთხმოცდაათი ათასი) ლარი, რაც გასულ წელთან შედარებით 40 000 (ორმოცი ათასი) ლარით მეტია.

2024 წლის 18 იანვრის # 2 დადგენილების საფუძველზე, როგორც ერთჯერადი, ასევე ყოველთვიური ფინანსური დახმარებით ისარგებლა 804 ბენეფიციარმა:

- შშმ პირთა ერთჯერადი სოციალური დახმარება გაეწია 448 ბენეფიციარს, რისთვისაც დაიხარჯა 68 300 (სამოცდარ) ლარი;

- სამედიცინო გამოკვლევები და „გეგმიური და სასწრაფო ოპერაციები"-ს მუხლიდან დაფინანსებით ისარგებლა 160 მოქალაქემ, თანხით - 71 436 (ცამოცდა თერთმეტი ათას ოთხას ოცდათექვსმეტი) ლარი;

- ხანდაზმულთა დახმარება (90 წელი და ზევით) გაეწია 40 ბენეფიციარს; გაცემული თანხა შეადგენს 7 800 (შვიდი ათას რვაასი) ლარს;

- სამშვილიანი ოჯახების ფინანსური დახმარება 49 ოჯახი, თანხით 7350 (შვიდი ათას სამას ორმოცდაათი) ლარი.

- ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიიღო- 21-მა ოთხშვილიანმა ოჯახმა, თანხით 6 300 (ექვსი ათას სამასი) ლარი

- 4 მრავალშვილიანი ოჯახი (არასრულწლოვანი 5 შვილი და ზევით) სარგებლობს ყოველთვირ ფინანსურ დახმარებით, გაცემულია - 5 580 (ხუთი ათას ხუთას ოთხმოცი) ლარი;

- ყოველთვიურად, 200 (ორასი) ლარის ოდენობით, ფინანსდება დიალიზზე დამოკიდებული 5 (6) ბენეფიციარი, გაცემულია (ხუთი ათსი) ლარი.

- ასევე ყოველთვიური ფინანსური დახმარებით სარგებლობენ დაბადებიდან შშმ პირები -33 ბენეფიციარი, გაცემული თანხის ოდენობაა - 26 160 (ოცდა ექვსი ათას ას სამოცი) ლარი;

- ვეტერანთა დახმარება გაიცა 7 ბენეფიციარზე , თანხით 1 900 (ათას ცხრაასი) ლარი

- ხანძარი. ამ კატეგორიის დახმარებით ისარგებლა 2 ბენეფიციარმა თანხით - 11 500 ლარი.

- 2 მარტოხელა დედას გაეწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება, თანხით 600 (ექვსასი) ლარი.

- სარიტუალო მომსახურეობა - ფინანსური დახმარება გაეწია 2 ოჯახს, თანხით 800 (რვაასი) ლარი.

- იმ ბენეფიციარებზე, რომელთა მკურნალობის ხარჯი საკამოდ მაღალია და საჭიროებენ გარკვეული დროით ძვირადღირებულ მკურნალობას , სარეზერვო ფონდიდან გაიცემა ფინანსური დახმარება. სარეზერვო ფონდიდან ფინანსური დახმარებით ისარგებლა 31 ბენეფიციარმა თანხით 26 540 (ოცდა ექვსი ათას ხუთას ორმოცი) ლარი.

2022 წლის 1 მარტიდან, პრემიერის ინიციატივით, დაიწყო სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი მოქალაქეების დასაქმების მასშტაბური პროგრამა. საზოგადოებრივი სამუშაოები სპეციალურად სამიზნე ჯგუფებისთვის შეიქმნა და ისეთ სამუშაოს გულისხმობს, რომლის შესრულებაც ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია. დასაქმების პროგრამით სარგებლობს 18 წლიდან საპენსიო ასაკამდე სოციალური შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი პირები, რომელთაც არა აქვთ მინიჭებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსი და არა აქვთ ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები.

პროგრამაში ჩართული თითოეული მოქალაქის შრომითია ანაზღაურება შეადგენს 300 (სამას) ლარს. ამავე დროს დასაქმებულს უნარჩუნდება სოციალური დახმარება. საზოგადოებრივი სამუშაო არ განაპირობებს სოციალური დახმარების შეწყვეტას, მოსარგებლის ოჯახს უნარჩუნდება საარსებო შემწეობა. ამავე დროს, მოსარგებლეს აქვს უფლება აირჩიოს საზოგადოებრივი სამუშაო, ან შრომის ბაზარზე არსებული უნარ ჩვევების გამოცდილებისა და პროფესიული განვითარების შესაბამისი ვაკანსია. მოსარგებლეს შემწეობა გაუგრძელდება მაშინაც, კი თუ იგი არ დათანხმდა არცერთ შემოთავაზებას, თუმცა ასეთ შემთხვევაში, 1 წლის შემდეგ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ხელახლა გადამოწმდება.

ჯანმრთელობისა და სოციალურმა სამსახურმა იმუშავა სოც. სააგენტოსა და თემის რწმუნებულებთან ერთად. შესაბამისად მერიამ გამოაცხადა ვაკანსია და დასაქმდა 490 ბენეფიციარი.

მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში, უნდა დასრულდეს საზოგადოებრივ სამუშაოებზე ხელშეკრულების გაგრძელება და ეს გაგრძელდება 2026 წლის აპრილამდე.

,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონმა მთელი რიგი ვალდებულებები განსაზღვრა მუნიციპალიტეტის როლისა და ჩართულობის გაძლიერების მიმართულებით, რათა სხვადასხვა მიზნობრივი პროექტებით ხელი შეეწყოს შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და ინკლუზიური გარემოს შექმნას. ამავე კანონითვე განისაზღვრება პერსონალური ასისტენტის სერვისის დელეგირება ცენტრალური ხელისუფლებიდან ადგილობრივ თვითმმართველობის უწყებებზე.

2024 წლის დეკემბერში, აღნიშნულთან დაკავშირებით გაგზავნილი იქნა ინფორმაცია მიზნობრივი ტრანსფერის მოთხოვნის შესახებ, სადაც დეტალურად იყო ჩაშლილი პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფისთვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა : ასისტირების სახეები ბენეფიციართა რაოდენობების მიხედვით და პროცესის ადმინისტრირებისათვის საჭირო ფინანსური რესურსები, მათ შორის ბენეფიციარის მომსახურებაში ჩასართავად საჭირო შეფასების ხარჯები.

ამ ეტაპზე, ვინაიდან ეს არის გარკვეული პერიოდით საცდელი (საპილოტე) პროექტი, მერიამ გადააგზავნა მოთხოვნა (მათივე მითითების საფუძველზე) სამი ასისტენტის გადამზადების მოთხოვნა, რომელიც შესაბამის დახმარებას გაუწევს 6 ბენეფიციარს.

მოგახსენებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2013 წლის №763 ბრძანების საფუძველზე ახორციელებს პროგრამებს სტიქიით დაზარალებულ ოჯახებზე, რაც ითვალისწინებს საცხოვრებელი სახლის შეძენას თანადაფინანსებით 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმდინარე წელს შესწავლილი იქნა 21 საცხოვრებელი სახლი, თითოეულ მათგანს მიენიჭა დაზარალების კატეგორია და შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად გადაეგზავნა ჯანდაცვის სამინისტროს, კერძოდ ეკომიგრანტთა დეპარტამენტს შემდგომი რეაგირებისათვის. აღნიშნული პროექტით 2024 წლის განმავლობაში დაფინანსდა 14 ოჯახი.

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს გადაეგზავნა 11 შუამდგომლობა მძიმე კატეგორიის ეკომიგრანტებზე, ასევე ერთ დევნილ ოჯახზე.

ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნიდან გამომდინარე, თვეში ერთხელ, საქართველოს გარემოს ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, იქმნება ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ ვიზუალური, საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა. მიმდინარე წელს, აღნიშნული მოთხოვნით შემოსულია 98 ინდივიდუალური, გეოლოგიური დასკვნა.

ჯანმრთელობისა და სოც. დაცვის სამსახური ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის, რაჭა- ლეჩხუმ და ქვემო სვანეთის სამხარეო სამმართველოსთან ერთად აწარმოებს ვეტერანთა დოკუმენტაციის სრულყოფასა და აღრიცხვას კატეგორიების მიხედვით.

მოგეხსენებათ, რომ სამსახურის კომპეტენციაში შემოდის აფხაზეთიდან დევნილთა ოჯახებზე ზრუნვა და შესაძლებლობის ფარგლებში სხვადსხვა სახის დახმარების გაწევა. ამ მიზნით სამსახური თანამშრომლობს როგორც ჯანდაცვის სამინისტროს რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამმართველოსთან, ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის იმერეთის ტერიტორიულ ორგანოსთან.

2016 წლიდან დაიწყო ლენტეხის მუნიციპალიტეტში, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭება. მიმდინარე წელს სტატუსი მიენიჭა 91 ბენეფიციარს და შეუწყდა 130 მოქალაქეს. სულ სტატუსი მინიჭებული აქვს 5263 მოქალაქეს.

რაც შეეხება დემოგრაფიულ მდგომარეობას. მიმდინარე წლის განმავლობაში დაფიქსირებულია 82 გარდაცვალება და 49 დაბადება. მონიტორინგი ჩატარდა 35 ოჯახზე.

სოც. სამსახურმა საერთაშორისო ორგანიზაცია ,,წითელ ჯვართან'' ერთად რამდენიმე პროექტი განახორციელა, მათ შორის აგვისტოში ყველა თემში, თემის რწმუნებულების დახმარებით, სხვადსხვა კატეგორიებზე დარიგდა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

,,წითელმა ჯვარმა" საშობაო საჩუქრები (ტკბილეული) გადასცა 33 (დაბადებიდან ინვალიდი) ბენეფიციარს.

სოც. სამსახური მუდმივად მუშაობს სხვადასხვა ბაზების შექმნასა თუ ცვლილებების შეტანაზე, კერძოდ შექმნილია:

1. შეჭირვებული ოჯახების ბაზა -48 ოჯახი;
2. 80 წელს გადაცილებული, მარტოხელა, სოციალურად დაუცველი - 51 ბენეფიციარი;
3. 70 წელს გადაცილებული, მარტოხელა, სოციალურად დაუცველი -72 ბენეფიციარი;
4. ონკოლოგიური პაციენტები - 28 ;
5. ეტლით უზრუნველყოფა - 4 ბენეფიციარი;

სოც. სამსახური უზრუნველყოფს დახმარების მიმღებ ოჯახებში მომხდარი ცვლილებების (ახალი ოჯახების გამოვლენა ან გაუქმება, ოჯახის წევრთა მატება-კლება, სრულწლოვანების დადგენა..) შემოწმებას, რის საფუძველზეც ხდება შესაბამისი შესწორებები: დახმარების დანიშვნა, გაუქმება, შეწყვეტა , აღდგენა.

იურიდიული სამსახური

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახური არის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს საკრებულოსა და მერიის სამართლებრივ მომსახურებას მუნიციპალიტეტის ინტერესების სამართლებრივ დაცვას სასამართლოში, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებთან და ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას.

სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

იურიდიული სამსახური უზრუნველყოფს საკრებულოს დადგენილებების სისტემატიზაციასა და კოდიფიცირებას, ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების

აგრეთვე მოქალაქეების იურიდიულ კონსულტირებას და სამართლებრივი დასკვნების მომზადებას.

2024 საანგარიშო წელს იურიდიული სამსახურის მიერ შესრულებული იქნა შემდეგი სახის სამუშაოები:

1. სასამართლო საქმის წარმოებასთან დაკავშირებით მომზადდა:

სამოქალაქო საქმეზე 3-შესაგებელი, სამოქალაქო საქმეზე 2-სარჩელი, 1-შუამდგომლობა, სასამართლოს წარმომადგენლობა 2-საქმეზე, სამი სამოქალაქო საქმე მიმდინარეა, მომზადდა სამი სამოქალაქო სარჩელი

სამსახურის მიერ მომზადდა:

ა)ცვლილებები ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2024 წლის სოციალური გაცემის წესის დადგენილების პროექტში, ა(ა)იპების წესდებებში ცვლილებების შეტანის პროექტები.

3. მომზადდა მთავრობის სხდომაზე გასატანი 4-განკარგულების პროექტი და განმარტებითი ბარათი. გაიცა პასუხი 79 წერილზე (როგორც მოქალაქეთა განცხადებებთან დაკავშირებით ასევე სხვადასხვა დაწესებულების სახელზე).

4. მომზადდა 20- ხელშეკრულება და ურთიერთშეთანხმების აქტი.

5. სისტემატურად ხდება მერის ბრძანების პროექტების მომზადება და სამსახურებრივი ვიზირება. მოქალაქეთა და თანამშრომელთა კონსულტირება.

6. ა) მომზადდა საკრებულოს განკარგულების 12 პროექტი, ბ) საკრებულოს დადგენილების 7 პროექტი. სამსახური აქტიურად მონაწილეობდა გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელწოდების მინიჭების პროცედურებში და გადაწყვეტილებების მომზადებაში.

7. კომისიური საქმიანობა

სამსახურის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ შესყიდვების კომისიაში სამუშაოების მიღება-ჩაბარების კომისიაში , მაღალმთიანობის სტატუსის მინიჭების, შეჩერების შეწყვეტის კომისიაში, საკონკურსო კომისიის, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენ კომისიის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ კომისიაში, სააუქციონო და საპატიო მოქალაქის მინიჭების შესახებ კომისიაში. იურისტების მონაწილეობით მზადდება სხვადასხვა სახის ოქმები და აქტები, სამსახურის მიერ გაიცა მიწის გაყოფის და სხვა სახის 38 ცნობა. სამსახურის ერთი თანამშრომელი წარმოადგენს ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს, პასუხი გაეცა ინფორმაციის მომთხოვნ 320 განმცხადებელს. იურიდიული სამსახურის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი სფეროა სამართლებრივი დასკვნების მომზადება.

საანგარიშო წელს მომზადდა 4-სამართლებრივი დასკვნა.

საჭიროა მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებმა იურიდიულ სამსახურში შემოიტანონ სამართლებრივი დასკვნისათვის ისეთი საკითხები რომელიც იურიდიულად გარკვევას საჭიროებს. კანონების და სამართლებრივი აქტების ცვლილებასთან დაკავშირებით საჭიროა იურიდიული სამსახური ჩართული იყოს მნიშვნელოვან ტრენინგებში მუნიციპალიტეტის

მხარდაჭერით, რაც მნიშვნელოვნად წაადგება როგორც იურიდიულ სამსახურს ასევე მუნიციპალიტეტის ინტერესებს სახვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.იურიდიულმა სამსახურმა წარმატებით შეისწავლა APPS.MSDA.GE-ის პროგრამა.

იურიდიული სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საკრებულოს კომისიებთან სხვა და სხვა საკითხთან დაკავშირებით პროექტების მომზადებაში.

იურიდიული სამსახურის აქტიური ჩართულობით განხორციელდა ურთიერთშეთანხმების აქტი და სხვა დოკუმენტაციის გაფორმება საქველმოქმედო ფონდი ,,ლენტეხისათვის'' სამსახურის ორგანიზებით მოხდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში კულტურისა და დასვენების პარკის გადმოცემის დოკუმენტაციის მომზადება და რეგისტრაციისთვის საჯარო რეესტრში განაცხადის შეტანა.

აუდიტის სამსახური

2024 წლის დასაწყისში შიდა აუდიტის სამსახურში დასაქმებული იყო 6 (ექვსი) თანამშრომელი - სამსახურის უფროსი, ორი განყოფილების უფროსი, ერთი უფროსი სპეციალისტი და 2 (ორი) შტატგარეშე თანამშრომელი. საანგარიშო პერიოდში კუთვნილი შვებულება სრულად აქვს გამოყენებული ყველა თანამშრომელს.

საანგარიშო პერიოდში ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურს ჩატარებული აქვს წლიური გეგმით გათვალისწინებული 5 (ხუთი) ობიექტის აუდიტორული შემოწმება:

1. ა(ა).ი.პ ფერმერული მომსახუერების სერვის ცენტრი;
2. ა(ა).ი.პ ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის ლენტეხის ოლიმპიური მომზადების ცენტრი;
3. ა(ა).ი.პ ლენტეხის თემებში მოსახლეობასთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრი;
4. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური;
5. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახური.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს ჩატარებულ იქნა სხვადასხვა არაგეგმიური სამუშაოები. კერძოდ:

- 2024 წელს დაგვევალა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (როგორც მე-2 დონის მომხმარებელი).

სულ გაცემულია 17 რეკომენდაცია. აქედან შესრულებულია 7 რეკომენდაცია. შეუსრულებელია 6, ნაწილობრივ შესრულებულია 3 რეკომენდაცია და ერთ

რეკომენდაციას Nმინიჭებული აქვს სტატუსი „მიმდინარე“. რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგი გრძელდება.

გარკვეული დრო დაეთმო საკონსულტაციო საქმიანობას, რომელთა დაოქმება ვერ მოხერხდა სხვადასხვა მიზეზის გამო.

ასევე, შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლები ვმონაწილეობთ მუნიციპალიტეტის მერიასთან შექმნილი სხვადასხვა კომისიის მუშაობაში.

მადლობა ყურადღებისთვის!!!...